



თქვენი ამოცანები



პროექტი თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ, RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი განათლება დემოკრატიისათვის.



თქვენი ამოცანები

I მოდული



1. წარუდგინეთ საკუთარი თავი ერთმანეთს და კარგად გაეცანით თქვენი ამოცანების აღწერას - მნიშვნელოვანია რომ ყველა თქვენთაგანს მთლიანობაში კარგად ესმოდეს ამოცანების არსი. თუკი რამემ თქვენში გაურკვევლობა გამოიწვია - შეეკითხეთ ამის შესახებ წამყვანს. გადაამოწმეთ ვინ გრძნობს თავს უფრო კომფორტულად გარკვეულ დავალებებში - იქნებ ჯგუფში ისეთი წევრები გყავთ რომლებსაც სურათების გადაღება ან რეპორტაჟების მომზადება უფრო ეხერხებათ?

თუკი ამ ტექსტში ჩახედვამდე ეს არ გაგიკეთებიათ - გააკეთეთ ახლა, გამოიგონეთ თქვენი როგორც კავკასიელის მოქალაქეების ახალი ბიოგრაფიები. ვინ ვინდათ რომ იყოთ ახალ სახელმწიფოში? ექიმი, ფესსაცმლის დიზაინერი თუ თავისუფალი სულის ადამიანი რომელიც თავის მიწის ნაკვეთში მუშაობს? შეადგინეთ თქვენი თავის მოკლე აღწერა - რა განათლება გაქვთ, რა ასაკში ხართ, გყავთ თუ არა ოჯახი? მთელი დღის განმავლობაში თქვენ ამ ახალი პიროვნებების როლებში იქნებით.





2. თქვენი მთავარი ამოცანაა ამომრჩევლის ინფორმირება არჩევნების მიმდინარეობის და პარტიების შეხედულებების თემაზე რომლებიც კავკასიონის მომავალს შეეხება. ამ მიზნით თქვენ მინიმუმ ორი ჟურნალისტური ფორმით უნდა იმუშაოთ - ტრადიციული „ქალაქი“ მუშაობის ვარიანტი (სტაციონარული ფორმა) და ინტერნეტ-ვარიანტი (პირველ რიგში შეგიძლიათ გამოიყენოთ მაწავლებლების მიერ შექმნილი სპეციალური გვერდი ფეისბუქზე). გადაინაწილეთ ერთმანეთში დავალებები და შესაბამისად შექმენით:



ინტერნეტ ჯგუფი - იგი პასუხისმგებელი იქნება არჩევნების შესახებ ინტერნეტ-რეპორტაჟების მომზადებაში. შეგიძლიათ შექმნათ არხები ნებისმიერ პორტალზე - შეგიძლიათ გამოიყენოთ ინსტაგრამი, სნეპჩატი, ტიკ-ტოკი ან სკოლის ინტერნეტ-გვერდი. გახსოვდეთ რომ აუცილებელია იმ ფეისბუქ-გვერდზე რეპორტაჟების გაშვება რომლის ბმულსაც წამყვანისაგან მიიღებთ. გააკეთეთ მინიმუმ სამი ჩანაწერი ფეისბუქში არჩევნების მიმდინარეობის თაობაზე.



სატელევიზიო გუნდი - იგი პასუხისმგებელია ლიდერების დებატების ორგანიზებასა და მის ჩატარებაზე. შექმენით დებატების ფორმულა, სცენარი და ჩამოაყალიბეთ კითხვები რომლებსაც კანდიდატებს დაუსვამთ. გახსოვდეთ ლოგისტიკის საკითხიც - დარბაზის მომზადება შეხვედრამდე და შეხვედრის შემდეგ.



საგაზეთო გუნდი - პასუხისმგებელი იქნება მინიმუმ 1 სტაციონარული საინფორმაციო ფორმის შექმნაზე. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს გაზეთი არჩევნების შესახებ პლაკატის ფორმით, ასევე შეიძლება იყოს მოკლე რადიო-გადაცემა რომელსაც მობილურ ტელეფონზე ჩაიწერთ და შემდეგ ფეისბუქ-გვერდზე გამოაქვეყნებთ.






3. გუნდებში გადანაწილების შემდეგ ერთობლივად გადაწყვიტეთ თუ ჟურნალისტიკის რომელ ფორმას გამოიყენებთ. ჩამოწერეთ პარტიებისათვის დასასმელი კითხვები - დააზუსტეთ, რის გაგება გსურთ მათგან?

4. გაეცანით პოლიტიკური პარტიების მიერ შემუშავებულ მასალებს, ამავე დროს ყურადღება აქცენით საარჩევნო კომისიის მოქმედებებს და მის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას. კარგი მომენტი იქნება ყველა ჯგუფის შეხვედრა შესვენების წინ - იქ წარმოადგინეთ თქვენი გეგმები არჩევნების საინფორმაციო „შეფუთვის“ შესახებ.

5. არ გამოგრჩეთ საარჩევნო კომისიაში პარტიების რეგისტრაციის პროცესი - ეს შესანიშნავი მომენტია ჟურნალისტური რეპორტაჟის მოსამზადებლად!



II მოდული



1. დროა რომ თქვენი ჟურნალისტური სამუშაო გახურდეს - როგორც ინტერნეტში, ისე სტაციონარულ რეჟიმში. ჩართეთ პროცესში თქვენი ტელეფონები, ნოუთბუქები და ბლოკნოტები! მნიშვნელოვანია რომ ყველა პარტიის წარმომადგენელს შეხვდეთ (ეს არ ნიშნავს რომ ყოველ პარტიაზე ცალკე მასალა უნდა მოამზადოთ, შეგიძლიათ ერთობლივი მასალა მოამზადოთ ყველას შესახებ). ისაუბრეთ არა მხოლოდ ლიდერებთან - პარტიის ინტერესებს მისი ყოველი წევრი წარმოადგენს. გადაიღეთ ბევრი სურათი - ნებისმიერი მასალა უფრო უკეთ იკითხება როდესაც მასში ბევრი ფოტოა განთავსებული. საარჩევნო კომისიაც არ დაგავიწყდეთ.

პარტიებთან საუბრის დროს არ დაგავიწყდეთ რომ თქვენთვის უმთავრესია კავკასიონების მოსახლეობის ინტერესები და ზოგადად, თქვენი ქვეყნის კეთილდღეობა!

შექმნილი ჟურნალისტური მასალები (ინტერნეტ-რეპორტაჟები და მაგალითად, გაზეთი) თვალსაჩინო ადგილებში გამოაქვეყნეთ რათა ნებისმიერ მონაწილეს ჰქონდეს მათი გაცნობის საშუალება.

საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას შეგიძლიათ საარჩევნო კომისიაში საჩივრები შეიტანოთ თუკი შეამჩნევთ რომ საყოველთაოდ მიღებული და სავალდებულო საარჩევნო კოდექსი ირღვევა - მაგალითად: თუკი ვინმემ სხვა პარტიის სააგიტაციო მასალები გაანადგურა, მედიისა და პარტიების უკანონო ურთიერთშეთანხმებებს აქვს ადგილი და ა. შ.

2. სატელევიზიო ჯგუფი დებატებისთვის ემზადება - საბოლოოდ დააზუსტეთ თუ როგორი იქნება მისი ფორმატი (იქნება ეს დებატი კანდიდატების პრეზენტაციებით თუ მხოლოდ წამყვანი დასვამს შეკითხვებს? ექნებათ თუ არა საზოგადოების წარმომადგენლებს კითხვების დასმის საშუალება? რამდენი დრო ექნებათ ლიდერებს პასუხებისათვის?). ჩამოწერეთ ქალაქდზე ის კითხვები რომლებსაც სტუმრებს დაუსვამთ და მოამზადეთ დებატების ადგილი (კითხვები პარტიებს წინასწარ არ გადასცემთ). პარტიებს შეატყობინეთ დებატების ადგილისა და დროის შესახებ.

3. გაცნობით პარტიებისა და საარჩევნო კომისიის მიერ მომზადებულ ყველა მასალას.





III მოდული



1. დებატების დრო თქვენთვის ყველაზე ინტენსიური 1. მუშაობის პერიოდია. თქვენ ხართ პასუხისმგებელი დებატების ჩატარებაზე, განსაკუთრებით ეს ეხება ტელეჟურნალისტების ჯგუფს. დებატების დეტალური მიმდინარეობა წამყვანებზეა დამოკიდებული თუმცა მათში აუცილებლად უნდა მოიძებნოს 2-2 წუთი თითოეული პარტიის ლიდერისათვის რომლებიც საკუთარი პარტიების წარდგენას განახორციელებენ. მთლიანობაში დებატები დაახლოებით 35 წუთის განმავლობაში უნდა გაგრძელდეს. ყველაფერი სტრესის გარეშე ჩაივლის - ყველაფერი საუკეთესოდ გამოვა რადგანაც შესვენების წინ თქვენ მოასწარით დებატების სცენარის დაწერა. შეხვედრის დროს თქვენი ჯგუფის ნაწილი მიმდინარე მოვლენის დოკუმენტირებას ახდენს და ინტერნეტ-რეპორტაჟს ახორციელებს. ჯგუფის დანარჩენი ნაწილი დებატებში საზოგადოების წარმომადგენლების როლში მონაწილეობს.

2. დებატების შემდგომ წინასაარჩევნო სიჩუმე ისადგურებს ანუ პერიოდი რომელშიც აკრძალულია პარტიების პოლიტიკური შეხედულებების შესახებ ინფორმირება ან პარტიების წარმომადგენლებთან საუბარი. შეგიძლიათ მხოლოდ და მხოლოდ სხვებს მოუწოდოთ ხმის მიცემაში აქტიურად მონაწილეობისკენ ანუ ჩაატაროთ ხმის მიცემის მასტიმულირებელი მოქმედებები. დებატების შემდეგ ერთობლივად დაალაგეთ დარბაზი და კომისიასთან ერთად მოამზადეთ იგი ხმის მიცემის პროცესისათვის.

3. არჩევნების დროა! გახსოვდეთ რომ თითოეულ თქვენთაგანს მხოლოდ ერთი ხმა აქვს. ხმის მიცემა ფარულია და ვერავინ ჩაიხედავს თქვენს სარჩევნო ბიულეტენში - ხმა მიეცით იმ პარტიას რომელმაც თავის სიმართლეში თქვენი დარწმუნება შეძლო.

